წელიწადი პირველი

ფასი 2 კაპ.

რედაქციის ადრესი: გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 5.


# ახალი დროება


ტფილისი, კვირა 12 მარტი (25) 1906 წ.


გაზეთები „განთიადი“ და „სოვრემენნიკ“-ი დახურეს.— გაზ. „რუს“-ის რედაქტორი სუვორინი ერთის წლით დააპატიმრეს.—


№ 8. ყოველ-დღიური გაზეთი. № 8.


### რედაქციისაგან

ვეძებთ ოთხ მარჯვე ყმაწვილს, რომლებსაც დაევალება გაზეთების გასყიდვა. მოსალაპარაკებლათ მოვიდნენ „ახალი დროების“ რედაქციაში, გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 5.

---


## „ახალი დროება“

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წლიურად 5 მან., 6 თვით 3 მან., ცალკე № 2 კაპ.

**გაზეთის დაკვეთა შეიძლება:**

**ტფილისში:** რედაქციის კანტორაში, გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 5.

**ქუთაისში:** „კოლხიდა“-ს ამხანაგობაში, ტრიფონ ლამბაშიძესთან

**ბათუმში:** „გეორგია“-ს ამხანაგობაში.

**ბაქოში:** ბ-ნ პლატონ დ. გელოვანთან, ნიჟნე-პრიუტის ქუჩა, №39.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

რედაქციის კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდე.


---


**დიდით ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში.**

კვირას 12 მარტს 1906 წ. ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

**ვლ. სარ. ალექსი მესხიშვილის საბენეფისოთ**

წარმოდგენილი იქნება:

## შემოსავლიანი ადგილი

კომ. 5 მ. ოსტროვსკისა თარ. ა, ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, მ. მდივანი.—ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, ვ. გუნია, შ. დადიანი, შალიკაშვილი, დ. ჩარკვიანი, ურუშაძე, მუმლაძე ჟივიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

შეგირდებისათვის ადგილები განსაკუთრებით ბალკონის მესამე და მეოთხე იარუსში 40 კაპ.

მზადდება წარმოსადგენათ **„პირველი მერცხალი ხალხი“**.

რეჟისორი გ. ალექსი-მესხიშვილი.


---


### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეების გარდა.

**დილაობით.**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ., ვენერ. (სიფილისი) და საშირდ. ავადმ.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახევ.—10 საათვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყ.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საპებიო, ქალთა და ბავშთა ავადმყოფობ.

**მ. ზ. ავეტისიანი:** 11—12 ს. კანისა, იფილისისა, ვენერ. და ქირურგ. ავადმყ.

**ძ. ი. ზძელიშვილი:** 11— ს, ყურისა, ცხვირისა. და ყელის ავადმყოფობანი.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახევ. ს. შინაგანი და ბავშვის ავადმყოფობანი.

**ა. ი. ზჩერბინინა:** 1 ნახ.—2 ს. საპებიო, ქალთა და ბავშთა ავადმყოფ.

**ზ. ი. ბურზენოვი:** 1—2 ს. ქალისა დ საპებიო ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ა. მ. პუზინოვი:** 5—6 შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.

**ნ. ზ. აზიანცი:** 6—7 ს. შინაგან ავადმყოფ.

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 7—7 ნახ. ს.

რჩევა დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**



**ექიმი ყ. მ. ჩიქოვანი**

იღებს ყოველ-დღე 12—2 საათ. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სახლი № 17.



ნაფიცი ვექილის თანაშემწე

ლ. ლ. ბასტაძე

გადავიდა გრიბოედოვის ქუჩაზე სახლი № 5.


## კერძო საკუთრება და მისი ნაყოფი.

უწინდელ დროში, როცა კაცი ველური მონადირე იყო, ადამიანები ერთმანეთს სჭამდენ, რადგან ბუნება ვერ აძლევდა საყოფ საზრდოს.

როდესაც კაცმა პირუტყვი მოიშინაურა და მწყემსობა ისწავლა, მაშინაც განუწყვეტელი ბრძოლა იყო ადამიანთა შორის, რადგან ჯოგებს საძოვრები არ ყოფნიდათ.

ადამიანი იყო მეომარი ძალაუნებურად. და ეს მეომრული მიდრეკილება, საჭირო ერთ დროს, ახლა კი ძირს უთხრის ადამიანის კეთილ-დღეობას.

დღეს მეცნიერება ისე მაღლა დგას, ადამიანს შეუძლია გამოაღებინოს ბუნებას იმდენი სიმდიდრე, რომ ბრძოლა ადამიანთა შორის სასმელ-საჭმლის გამო უაზროა.

რით ავხსნათ, რომ დღეს კერძო საკუთრებაა გამეფებული? რატომ ერთად არ მუშაობენ და თანასწორად არ გაინაწილებენ ადამიანები შრომის ნაყოფს?! რათ არის მათ შორის ახლაც დაუზოგავი ბრძოლა?!

ამისი მიზეზი ძველი, მხეცური მიდრეკილებაა, მემკვიდრეობით გადმოცემული. კაცის მჭამელობა მოისპო, მაგრამ მაგიერად დარჩა წართმევა, გაგლეჯა თავის მოძმისა, უსამართლოდ მითვისება სხვისი ნაშრომისა. აქვს თუ არა ახლა ამას გასამართლებელი საბუთი? სრულიადაც არა; ველურებს მეტი უფლება ქონდათ ერთმანეთი ეჭამათ.

კერძო საკუთრება ახლა, როდესაც აუარებელ სიმდიდრეს ამზადებს კაცობრიობა, არის სათავე ყოველგვარი უბედურებისა.

კერძო საკუთრება აგროვებს აუარებელ სიმდიდრეს მცირეოდენი ჯგუფის ხელში და სტოვებს გაჭირვების უფსკრულში კაცობრიობის უდიდეს ნაწილს. მდიდრები ირყვნებიან მეტის-მეტი სიმდიდრისაგან, ღარიბები კი ილახებიან და წყდებიან შიმშილისაგან. კაცობრიობა გადაშენების გზას ადგია.

კერძო საკუთრება ქმნის სამხედრო ძალას. კაპიტალისტისათვის, მდიდრისათვის, აუცილებელია ეს ძალა, რომ მშიერთა მოსევა მოიგერიოს.

კერძო საკუთრების განმტკიცებისათვის საჭიროა ჯაშუში, ჯალათი, დარაჯი.

ერთი სიტყვით, რაც უბედურობა დღეს ხდება, ყველაფერი ნაყოფია კერძო საკუთრებისა.

საკვირველია, რომ ბევრი მოტრფიალე ყავს კერძო საკუთრებას ღარიბთა შორისაც. ეს გარემოება უნდა მივაწეროთ შეუგნებლობას. ღარიბს, მაგ. გლეხს, წვრილ მოქალაქეს და სხ., კერძო საკუთრება სახელითა აქვს მხოლოდ. რა უნდა ვთქვათ იმ კერძო საკუთრებაზე, რომლის პატრონიც დამშეულ-ჩამოფლეთილია?! რა თილისმითა და ჯადოთი მოხიბლა მათმა კერძო საკუთრებამ ეს მშიერ-ლატაკნი?!

ტყუილია იმედი, რომ წვრილი მესაკუთრე გამდიდრდეს. ეს ათასში ერთჯერ თუ მოხდება. ვისაცა აქვს ემატებოდეს, ვისაც არა აქვს, აკლდებოდესო, ეს კანონია ახლანდელი ეკონომიური ცხოვრებისა. ცილობა და ქიშპი მდიდარ კაპიტალისტებსაც კი აკოტრებს, უფრო და უფრო მდიდრდებიან მხოლოდ ძლიერ მდიდარნი.

მეტყვიან, წვრილ კერძო-მესაკუთრეთა რიცხვი არ კლებულობს, მატულობსო. უბედურებაც ის არის, რომ ლატაკთა რიცხვი მატულობს.

დღევანდელ დაუწყობელ ცხოვრებაში ადამიანის ბედი და უბედობა უბრალო, მექანიკურ ეკონომიურ ცვალებადობაზეა დამყარებული. თუ ვინმემ გამოიგონა ახალი მაშინა, მექარხნემ შეიტანა თავის ფაბრიკაში, მუშები აღარ დასჭირდა და გამოყარა გარეთ. ახალი გამოგონება, გამარჯვება მეცნიერებისა და ტეხნიკისა, უბედურებად მოევლინა მშრომელთ. დამზადდა აუარებელი სავაჭრო და აივსო ბაზარი. აღარ გაიყიდა საქონელი თავის ფასად. შესწყდა ვაჭრობა და წარმოება, ჩამოვარდა კრიზისი. უნდა გამოცვინდენ მუშები გარეთ და უცადონ გულ-ხელ-დაკრეფილებმა, როდის გაივლის ეკონომიური გრიგალი და კვლავ გაიხსნება წარმოება. დღეს რომ პური გაქვს, ხვალ უბრალო ეკონომიური შემთხვევა, შენგან დამოუკიდებელი, ხელიდან გაგაგდებინებს. და მიზეზი ამგვარი მოუწყობლობისა არის ცილობა, ქიშპი კაპიტალისტებს შორის, ე. ი. კერძო საკუთრება.

ამგვარად კერძო საკუთრება ქმნის სიმდიდრესა და გარყვნილებას, სიღარიბესა და შიმშილს, ბადებს მხედრობასა, მონობას და შემთხვევასა ხდის ადამიანის ბედის გადამწყვეტად.

დიაღ, თავისუფლება შეუძლებელია იქ, სადაც გამეფებულია კერძო საკუთრება. თავისუფლება შეუძლებელია იქ, სადაც ერთი ნაწილი საზოგადოებისა შეიარაღებულია, მეორე კი უიარაღო. კერძო საკუთრება კი ვერ დაიფარავს თავს, თუ მხედრო-

ბა არ ეყოლა. ვისაცა სძულს ხიშტი, უნდა შესძულდეს კერძო საკუთრება.

თუ გვინდა ვიხსნათ კაცობრიობა სიღარიბისა და მონობისაგან, გარყვნილებისა და გადაშენებისაგან, უნდა მოვსპოთ კერძო საკუთრება, ეს ძირითადი მიზეზი ყოველივე უბედურებისა. მხოლოდ მაშინ ამოისუნთქავს თავისუფლად კაცობრიობა, მაშინ დამყარდება ქვეყნად ნამდვილი ძმობა, ერთობა, და თავისუფლება.

უნდა თანავუგრძნოთ თუ არა გლეხებს, რომელნიც მოინდომებენ თავად აზნაურთა მიწების მითვისებას კერძო საკუთრებად?! სრულიადაც არა. კერძო საკუთრება თავის ხასიათს არ დაკარგავს ამით. წარმოვიდგინოთ, რომ თავად-აზნაურთა მიწები გლეხებმა თანასწორად გაიყვეს. ამით ისტორიის ჩარხი უკუღმა დატრიალდება, გლეხებს შორის დაიწყება ეკონომიური ბრძოლა და ბოლოსდა-ბოლოს ისევ გაჩნდებიან მდიდრები და ღარიბები. კერძო საკუთრება დასაგმობია, სულ ერთია გლეხის თუ თავადის ხელში იქნება ის.

კაცობრიობამ უნდა დაისახოს იდეალად საკუთრების, მოსპობა საერთო მუშაობა და თანასწორი განაწილება შრომის ნაყოფისა.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

ეს მესამე თვეა, რაც თავისუფლების სხივი ულმობელ რეაქციის ბნელი ძალით დაიჩრდილა; რაც მთელ რუსეთთან ერთად თავისუფლების მოლოდინით აღფრთოვანებული საქართველო ცეცხლშია გახვეული და ამ ცეცხლს აქრობს უდანაშაულო საუკეთესო მუშაკთა უმანკო სისხლი. დიახ! მესამე თვეა, რაც ფეხ ქვეშ ითელება საზოგადოებრივი პიროვნება და ადამიანური ღირსებები.

ყველაფერს საზღვარი აქვს და ჩვენც გვეგონა, დღეს არა, ხვალ მაინც ამ მხეცობას და ხალხის დაწვა-დარბევას ბოლო მოეღება მეთქი, მაგრამ ვსტყუვდებით. დღითი დღე უფრო გულშემზარავი და ძარღვებში სისხლის გამყინავი ამბები მოდის დასავლეთ საქართველოდან.

აბა, გაითვალისწინე მკითხველო, თუ, რამდენი დროა საჭირო მისთვის, რომ ამ მცირე ხნის განმავლობაში განადგურებული და დაწიოკებული ხალხი ზნეობრივად აღფრთოვანდეს და ეკონომიურად წელში გასწორდეს.

დიდი, ძლიერ დიდი დროა ამისთვის საჭირო.

არ საიდან ხსნა, არსით საშველი.

კითხულობ განადგურებულ დაბასოფლებიდან მოსულ ცნობებს და თავგზა აბნეული შენს თავს ეკითხები: ნუ თუ მართლა შესაძლებელია, რომ ასეთ დროს, როდესაც „ძლევამოსილი“ დიქტატორები მუსრს ავლებენ უდანაშაულო ხალხს,—ამ დროსაც გამოჩნდენ ისეთი „გულკეთილნი“ მემამულენი, რომელთაც „გამარჯვებულთა“ დახმარებით დაკმაყოფილება მოითხოვეს გლეხებისგან.

მე ვამბობ ბ. ბ. მინგრელსკის, პრინცესა მიურატის და სხვა ზოგიერთს მემამულეებზე.

ან რა გასაკვირველია! რეაქციის პირბადით ხომ ვერ შეხვდებოდენ ეს ვაჟბატონები.

მახსოვს, შარშან, გაზაფხულზე, ქუთაისის თეატრის დარბაზში „ბრწყინვალე წოდებათა“ და მემამულეთა კრებები. მახსოვს, თუ რამდენ ნაირ საშუალებას ასახელებდენ ახლად გაღვიძებულ გლეხების და მემამულეთა შესათანხმებლად.

ბევრი იყო იმ აზრისა, რომ საერთო საქმისათვის როგორმე მორიგებულიყვნენ ერთმანეთში. ამბობდენ, რომ ისინი ყოველთვის მზად არიან შეღავათი მისცენ გლეხებს, რომ ამ უკანასკნელთა და მემამულეთა შორის უკმაყოფილებას მხოლოდ „ბუნტოვჩიკები“ ამწვავებენ, თორემ მემამულენი ყოველ ჟამს ძმურად იყოფენ გლეხების ჭირსა და ვარამს.

ეს დაპირება რომ გულწრფელი არ იყო, ჩვენ მაშინვე ვიცოდით და, აი, აღოჩნდა, რომ დროთა მიდინარეობის და დიქტატორების უსაზღვრო რეპრესიების დაგვარად ზოგიერთი მემამულენიც იხსნიან პირბადეს, აშკარათ გვაჩვენებენ თავიანთ დამოკიდებულებას გლეხებთან და საითაც ძალას ხედვენ, თავიათ სასწორსაც იქით ხრიან.

აბა, დაუფიქრდით „ბედნიერნო“ მემამულენო, განსაჯეთ წმინდა სინიდისით, როგორია თქვენი ქცევა? ცეცხლის შეკეთება-და უნდათ უიმისოდაც გააფთრებულ დიქტატორებს! ნუ თუ ალა მახმედ ხანის დროის „ნედომკების“ და ღალების გადახდევნებაღა ექივრებათ—და ისიც მთავრობის ძალით უიმისოდაც უსახლკარო და ულუკმა პუროდ დარჩენილ ხალხს?! ნუ თუ უბრალო, ადამიანური გრძნობის ნასახიც კი არ მოიპოვება თქვენში? დაუფიქრდით, რას ჩადიხართ.

დაუდ ბეგ.

## ახალი ამბები

→ თფილისის გენ. გუბერნატორის განკარგულებით გაზ. „განთიადი“ და „სოვრემენიკი“ დახურეს.

✦ ფოსტის გამარცვა აღბულაღში. ჩვენ გვატყობინებენ, რომ ალბულაღის გზაზე ვიღაც შეიარაღებულნი დასცემიან გრენადერთა პოლკის ფოსტას და გაუტაცნიათ 150 ათასი მანეთი

✦ უარი ხევსურებს. ამას წინად ვწერდით, რომ ლეკებს ზოგიერთი სახაზინო მამულები აჩუქესო. უმ[...] მულობით შევიწროებულ ხევსურ[...] ბისთვის კი სახაზინო ქონებათა ს[...] მართველოს ცივი უარი უთქვამ[...] თქვენთვის თავისუფალი მიწა [...] გვაქვსო. ალბად, გადმოსასახლებ[...] რუსებს თუ უნახავენ ამ მამულებ[...]

✦ უარი არჩევნებზე. ქართლში ყველ[...] დაუწყიათ არჩევნები. სოფელ აღ[...] მცხოვრებლებსკი პირდაპირ უარ[...] განუცხადებიათ არჩევნებში მონაწი[...] ლეობის მიღებაზე.

✦ იუზბაშევის დამჭერელ ლ. ციც[...] ცაძეს სამხედრო სასამართლომ რ[...] წლით მადნებში მუშაობა გადაუწყვ[...] ვიტა.

✦ საიდუმლო სტამბის აღმოჩენა. ამ დღეებში ალექსის ქუჩაზე, ქარ[...] თველ მსახიობის ა. ჯაყელის ბინა[...] აღმოაჩინეს საიდუმლო სტამბა [...] უკვე დამზადებული პროკლამაციებ[...] ჯაყელი დაიმალა. დაატუსაღეს მ[...] ცოლი.

✦ ლექცია. დღეს, შუადღის 1[...] საათზე ნაფიცი ვექილი და წ[...] რი კონსტიტუციონალურ-დემოკრ[...] ტიულ პარტიის ბიუროსი გ. გვაზ[...] საარტისტო საზოგადოების დარბაზ[...] წაიკითხავს ლექციას ავტონომი[...] შესახებ.

✦ პატრულების გაძლიერება. ადმინისტრაციამ ეჭვი აიღო, ქალაქის განაპირა ადგილში მუშ[...] აკრძალულ კრებებს მართავენო ეს[...] ამიტომ იქ პატრულები გააძლიერ[...]

✦ წრეს-გადასული მზრუნველობა. ბოქაულის ყარალაშვილის განკარგ[...] ლებით, სოფელ ერთაწმინდაში გლეხთ დიდის გაჭირვებით ყველ[...] გადასახადები გადაუხდიათ. ბოქაუ[...] ლი ამას არ დაკმაყოფილებულა, [...] უბარებია მღვდელი და უთქვამს [...] გლეხებმა მოგცეს თუ არა, რაც გე[...] რგებოდაო. მღვდელს უპასუხნი[...] ბატონო, დამისახელეთ, რაღა [...] რჩათ გლეხებს, რომ გადავახდ[...]

## ფელეტონი

### ოცნება და სინამდვილე.

დიდებულ დროში ვართ მე და შენ მკითხველო, ასრულდა ჩვენი ნატვრა და სურვილები, უმაღლესი მანიფესტი მოგვეცა, პიროვნების ხელ-უხლებლობა, დამფუძნებელი კრება და სხვა დიდებული რეფორმები. მეტი რა გინდა! იხარე და ინეტარე...

გატყობ სახეზე, მწარეთ გეღიმება, გსურს შეაკვეცო ფრთები ჩემს ოცნებას, გსურს რაღაც მითხრა შხამიანათ...

ჩუმათ, თუ გიყვარდე! არაფერი დაგცდეს, არაფერი მითხრა! ხომ იცი კედლებსაც ყური ასხია! ხომ იცი, უბრალო პოლიცელზედაც რომ თქვა რამე, ვირის აბანოში წაგაბრძანებე ცხელი ვანების მისაღებათ, უბრალო ჩინოვნიკზე რომ დააწრიპინო კალამი დახურე მაშინვე გაზეთი თავხედო რედაქტორო, შეკარი ბარგი-ბარხანა და გაისეირნე ცივ-ქვეყნებისკენ, რომ ჩრდილოეთის ყინვებმა დაგიცხროს ტვინის ანთება. ხო ხედავთ რა რიგათ ზრუნავს ჩვენზედ ჩვენი გულკეთილი ბატონ-პატრონი!...

— „ეგ არის, შე უბედურო, შენი სიტყვის და კრების თავისუფ“...

— ჩუმათ! გაჩუმდი თუ ღმერთი გწამს! პირი დაიმუწე, არავინ გაგიგონოს, თვარა მე და შენ არ აგვცდება... ჩვენს გზას ხომ ჩააყურყუმალავებენ ლეთის ზვირთებში.

ერთი შეხედე რას მეუბნევა მემი მეგობარი, აგერ რომ გვერდით მიზის მაფრთხილებს: შეიბრალე შენი თავიო, ხომ იცი ყველასთვის არაა მარგებელი ვირის აბანო, მასაჟი და ცივი ქვეყნებიო, თუმც ყველა მოქალაქეს სრულიად უფასოდ აძლევენ ამ უებარ წამლებს მთელი რუსეთის მკურნალნი და ჯანიოზ ექიმნი, პოლიცია და ბიუროკრატია...

მაშ გაუმარჯოს სიტყვის და ბეჭდის თავისუფლებას? ურრრააა!... ძირს ცენზურა და ცენზორები!...

ახლა მეორე ამბავს გახარებ, მეორე დიდებულ რეფორმას...

— ჰა, ველარ ითმენს კიდევ მეგობარი, მოჩოჩავს ჩემკენ, უნდა ხელი წამავლოს, მაჯა დამიკავოს, კალამი გამაგლიცოს ქაღალდი წამართვას, მელანი დამიმალოს...

— რისთვის, რას მერჩი ადამიანო! რა ვთქვი ამიხთანა! ხომ არაფერი მითქვამს ჯერ? მაშ რას მიმუწავ პირს! რას მიფათურებ გულში ხელებს! რაიცი წინ და წინ რა უნდა ვთქვა!

— დაგლახვრათ სამას სამოცდა ხუთმა წმინდა გიორგიმ! მე ძლივს კაკარდიან ცენზორს გადაურჩი (ოჰ, რამდენი მტანჯეს იმ წყეულებმა!) და აქ რედაქციაში უარესი ცენზორი არ გამიჩდა! ის კაკარდიანი აზრის ჯალათი დამაწერინებდა, მათქმევინებდა მაინც და მერე უზამდა ჩემს ნაწერს დეზინფექციას-წითელი მელნით, მერე კლავდა მიკრობებს, რომ ამ რიგათ გაესუფთავებია სულიერი საზრდო და ისე მიეცა მკითხველისთვის, შიშობდა ამ საზდოში არ დარჩენილიყო რაიმე შხამი, „მავნე რამ“, რომ მკითხველს არ ატკიებოდა ან თავი ან მუცელი. ასე ზრუნავდა ხალხზედ ის ცხონებული.

ახლა კი? ახლა უარესი ცენზორები გამოჩნდენ და მერე ერთი კი არა,-ორმოცი. რედაქტორი? არა, არ შეგჭამოს ჭირმა! მარტო ერთი რედაქტორი რას გახდება! მაშ ვინა?- მთელი სარედაქციო კამისია! ჩე[...] მეგობრები, ჩემი ამხანაგები... აი, ვი[...] შეიქნენ ჩემი ულმობელი ცენზორე[...] ბი, ჩემი აზრის, ფიქრის დ[...] გრძნობის სისტიკი ჯალათნ[...] ჩვენ, მწერლები, მეგობრები, თ[...] ვისუფალი მოაზრენი, შევიქენი[...] ერთმანეთის სასტიკზედ უსასტიკეს[...] ცენზურეიბ!... ამაზედ მეტი დაც[...] ვა და დამცირება კიდევლა შეიძლებ[...] გაიცინე, ბელზებელო! გადიხარხარე[...] მეფისტოფელო სატანურის სიცი[...] ლით!..

— აბა, ვინ იფიქრებდა, ვინ წა[...] მოიდგენდა, რომ ჩვენ თუნდ სი[...] მარშიაც კი ერთმანეთის ცენზორებ[...] ერთმანეთის აზრის ჯალათი შე[...] ნებოდით, ერთმანეთის გულის [...] გონების ნაშობს მოვსპობდით! [...] და ეს ხომ სინამდვილეა ახლა, [...] ნამდვილე...

ოსანა, ვაშა და ქებათა-ქება თქვე[...] უსაზღვრო გენიოსობას რუსეთ[...] ბურჯნო ვიტტევ და დურნოვ[...] თქვენ აჯობეთ დიდებულ პლევ[...] და პობედონოსცევს! რუსეთის ბი[...] როკრატია არ დაივიწყებს საუკუნ[...] თქვენს ღვაწლს, თქვენს უკვდავ[...] მოჩენას და დაფნის გვირგვინით [...]

...ჭინოო. ბოქაულს მაინც განკარგულება მოუხდენია, მღვდელს, რაც ...რება, მიეცითო.

◆ **ქალაქის საბჭოს კრება.** ორშაბათს, 13 მარტს დანიშნულია ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება, რომელსაც რამდენიმე წვრილმანი საქმე აქვს განსახილველი.

◆ **სამოსწავლო ოლქის მზრუნველი.** ამბობენ რომ ბ-ნი ზავადსკი კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ისევ რჩება, რის გამოც თავადი არღუთინსკი მისს ადგილას აღარ დაინიშნებაო.

◆ **ავლაბრელთა თხოვნა.** გუშინ, 11 მარტს, თბილისის გენერალ-გუბერნატორს ავლაბრის მცხოვრებთა რწმუნებულნი წარუდგნენ და სთხოვეს, ავლაბრის მცხოვრებთ კრების გამართვის ნება დართეთ, რომ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შესახებ მოილაპარაკონო.

◆ **ჩხრეკა თბილისში.** 10 მარტს, საღამოს 8 საათიდან ქალაქის სხვა და სხვა საპოლიციო უბანში ჯარის კაცთა პატრულები გააძლიერეს და დიდი ჩხრეკა დაიწყო. ანდრეევისა და ავჭალის ქუჩა ერთიან შეკრული იყო. ჩხრეკდნენ დიდსა და პატარას. აჩერებდნენ ეტლებს და ტრამვაის ვაგონებს. ჩხრეკამ დილამდე გასტანა. ზოგან სახლებიც გასჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს.

◆ **„ვაკე".** თბილისის ქალაქის გამგეობამ ადგილ „ვაკეს" მცხოვრებთ წინადადება მისცა, რომ ქალაქის თვითმართველობის სავაჭრო სამეურნეო განყოფილების აგენტს ბ-ნ ფურცელაძეს დაუყოვნებლივ აცნობონ, თუ სურთ ადგილი „ვაკე" ქალაქის უბნებს შეუერთონ.

◆ **გაძარცვა.** სოფ. შროშაში (შორაპნის მაზრა). ამ დღეებში ს. შროშაში მოვაჭრე ე. ჩიხლაძეს თავს დასხმია რვა შეიარაღებული კაცი და გაუძარცვავთ. წაუღიათ სამასი მანეთი. ეჭვი შეუტანიათ ზოგიერთ რაზმელზე. —ფერაძე და ნებიერიძე უკვე შეუპყრიათ.

◆ გამოვიდა და ხელის მომწერლებს დაურიგდათ საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადულის" თებერვლის ნომერი (№ 2) შემდეგის შინაარსის, მოზრდილთათვის: ირემი.—ლექსი აკაკისა, მთაზედ.—განდეგილისა, ირემი და ხარი—სგ. უიფიანისა, ჭიანჭველების მწუხარება—ზღაპარი, თარგმანი ნ. თ., ანდერძი—ლექსი ბ. ბელოვანისა, უებარი წამალი—თარგმ. ივ. მაჭავარიანისა, ქანდაკება ეგვიპტელ ღმერთისა—თარგმ. ზღაპარი ნ. ბ—ძესი, ჯუზეპე გარიბალდი, იტალიის განმათავისუფლებელი—გ. დამბაშიძისა, თამარ მეფე—დ. კარიჭაშვილისა, ნარევი, ანდაზები და გამოცანები. მცირეწლოვანთათვის: ცხენოსანა—ლექსი შ. მღვიმელისა, მდიდარი და ღარიბი—იგავი ალ. მირიანაშვილისა, ციცუნია—ზღაპარი მამინ სიბირიაკისა,—თარგმანი დ. დეკანოზიშვილისა, გამარჯვება—თარგმანი ნინო მაჭავარიანისა, მამა და შვილი—თარგმანი ანეტასი, ჭერკულესის ამბავი—გერმანულიდან, ხერხი სჯობიან ღონესა—X—სა, ძაღლის მოსაზრება—თეოფ. კანდელაკისა, გასართობი—ა) თევზაობა, ბ) გამოცანები, გ) ხალხური ლექსი.

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნები: 1) მოხსენება სოხუმის ქალაქის მოურავის თავ. ნ. თავდგირიძისა ქალაქისა და ერობის წარმომადგენელთა ბიუროს წინაშე რუსეთის სახელმწიფო წესწყობილებაში დეცენტრალიზაციის პრინციპის გატარების შესახებ. 2) სამი სიტყვა „ერთობა, თანასწორობა, ძმობა" ი. მაჭავარიანისა, ფასი ერთი შაური. 3) თავისუფლებისთვის მებრძოლნი. თარგმანი ა. ლომთათიძისა, ფასი ერთი შაური. 4) დედაკაცი თარგმანი ა. ლომთათიძისა, ფასი 6 კაპეიკი. 5) ლუკმა პურის ამბავი. თარგმანი ნ. ნინიძისა. ფასი 6 კაპეიკი. მეორე, მესამე მეოთხე წიგნები გამოცემულია სუფთად და საინტერესოა შინაარსით.

---

## ევროპიელთა აზრი რუსეთზე.

—

მთელი ევროპა ამ ჟამად მეტად დიდ ყურადღებას აქცევს რუსეთის ამბებს. მას აშფოთებს ის საშინელი თეთრი „ტერორი", რომელიც რუსის ბიუროკრატიამ გაამეფა მეტადრე განაპირა ქვეყნებში. განსაკუთრებით ყურადღებას კი იპყრობს რუსეთის ფინანსიური მდგომარეობა. რუსის მთავრობა აჩქარებს „დუმის" მოწვევას და ცდილობს ჟანდარმპოლიციელთა საშუალებით შეკრიბოს რწმუნებულნი მთელის რუსეთიდან. ნეტა რათ უჩქარის რუსის მთავრობა არჩევნებს? მიზეზი აშკარაა. მას არა აქვს ფული, დაცარიელდა ხაზინა, სახელმწიფოში „წესიერების" აღდგენა თხოულობს დიდ ხარჯებს, დიდი ვალები ითხოვს სარგებელს, უცხოეთში კი მთავრობამ დაკარგა ნდობა. ევროპის ბანკირები თხოვილობენ მისგან მტკიცე გარანტიას. ეს გარანტია კი არის „დუმა", სადაც უნდა შეიკრიბონ მთელი რუსეთის წარმომადგენელნი და განუცხადონ მთავრობას ნდობა. აი მთელი საიდუმლო, თუ რათ უჩქარის არჩევნებს რუსის მთავრობა!

მაგრამ რუსეთის ბიუროკრატიას ავიწყდება ერთი რამ: საალყე და სამხედრო წესებით, სალდათ-კაზაკებით, ჟანდარმ-პოლიციით, თოფით და ზარბაზნებით, შეუძლებელია კანონიერ არჩევნების მოხდენა, რომ ამგვარი არჩევნები და ამ რიგათ შემდგარი „დუმა" მხოლოდ ფიქციაა, მოტყუება და მეტი არაფერი. ამ ხრიკებით სურს რუსის ბიუროკრატიას მოატყუოს ევროპა, ნამდვილათ კი იტყუებს თავის თავს. ევროპას სიცილადაც არ ყოფნის ეს უკუდო ხრიკები.

მართლაც რუსეთის ყოველ მხრიდან ტელეგრაფს მოაქვს შემდეგი ამბები: ამა თუ იმ ქალაქში მოხდა არჩევნები, ამომრჩეველთა რიცხვი იყო 2000, გამოცხადდა მხოლოდ 37 კაცი, უმთავრესათ ღვდლები, აზნაურები და მოხუცი ჩინოსნები. აარჩიეს 7 კაცი, მათ შორის 4 ხუცესი. ამგვარ ინდიფერენტიზმითაა გაჟღენთილი მთელი რუსეთი. ბევრს ალაგს კი პროგრესიული პარტიები სრულს ბოიკოტს უცხადებენ ამგვარ არჩევნებს. რა მოხდება? ქებული „დუმა" აივსება ხუცებით და ინვალიდებით. გამოვა რაღაც მასხარობა და ბავშური ხოხოლას თამაში. წაუბერავ სულს და დაინგრევა ხოხოლა, ხალხის მოძრაობის პატარა სიო და—დაიფუშება „დუმა".

ამ რიგათ, ვიტე-დურნოვო თავის „ბრძნულ პოლიტიკით" თამაშობენ რუსეთში ბავშობანას და აკეთებენ ევროპის გასართობათ „დუმის" ხოხოლას. ევროპა უცქერის ამას და იცინის... იცინის გესლიანად...

გრაფი ვიტე? დაკარგა ძველი პრესტიჟი მთელს ევროპა ამერიკაში, გაქრა საუკუნოთ პორტსმუტის „გმირის" ლეგენდა. აი რას წერს სხვათა შორის „რუს. ვედომოსტში" ვენის კორესპონდენტი: „ნეტა სად გაქრა ევროპის პრესის წინანდელი ენტუზიაზმი ვიტეს მიმართ? მისი ნაფიცი ქომაგნიც კი დღეს სდუმან დარცხვენით. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტამბოლის სიცრუით სავსე სერალიდან გამოსულ სიტყვას უფრო რწმენით და პატივის ცემით ეკიდებიან ახლა ევროპაში, ვიდრე პეტერბურგის ბრწყინვალე „რეფორმატორებს" ვიტესა და დურნოვს. ამაზედ შორს სახელმწიფოს მესვეურთა სახელის გატეხა, ვგონებ, ველარ წავა...

„ტავრიდის სასახლეში 27 აპრილს უნდა შედგეს მეტათ ძვირათ ნაყიდი რუსის პარლამენტი რომელიც ტელეფონით იქნება შეერთებული პოლიცმეისტრის გამგეობასთან,—სწერს ვენის გაზეთი „ზონ-

---

კობს ზეგარდმო მადლით მთებარეს თქვენს შუბლს.

ეგ არაფერი. ახლა სხვა გენიოსური აღმოჩენაც იგემეთ რუსეთის ბურჯებისა...

მთელს უზარმაზარ რუსეთში, მთელს კავკასიაში კიდით-კიდემდე მეფობს კანონი, სამართალი, ბინაოჯახის და პიროვნების ხელუხლებლობა... არ გჯერათ? გეფიცებით დიდებულ ვიტეს და დურნოვოს, (ჰა, წამოვიდა კიდევ ჩემკენ რედაქტორ-ცენზორის ხელი!), ყოველივე ეს ქაღალდში სწერია, 17 ოქტომბრის უმაღლეს მანიფესტშია გამოცხადებული. მაშ სინამდვილეა, სინამდვილე...

და თუ ამ დროს უცაბედათ მოგხვდება კინჩხში პოლიციელის მუშტი, ან კაზაკის მათრახი ზურგს აგიჭრელებს, თუ ხიშტიანი სალდათები შამოცვინდებიან შენს სახლში და და დაიწყებენ უპარდონო ფათურს შენს უჯრა ყუთებსა და ჯიბე-უბეში, თუ პლასტუნი აკოცებს ან ჩაიხუტებს გულში შენს თვალ-წინ შენს ცოლსა და ქალიშვილს, თუ ჟანდარმის მარჯვენა სულ უმიზეზოთ წაგაჩანჩალებს ვირის აბანოში, თუ ხულიგანები გაცარცვენ ან გადაწვავენ შენს კარ-მიდამოს, თუ ვინიცობაა გაგასეირნონ სახალინისკენ, თუ ვინიცობაა გეძგეროს გულში წვეტიანი ხიშტი, ან გაგიპოს მკერდი ხმალმა და ხურვალე ტყვიამ,—არ დაიჯერო, არ დაიჯერო, მკითხველო არაფერი! ეს მხოლოდ ოცნებაა, ჩვენება, სიზმარი, გალიუცინაცია და არა მწარე საშინელი სინამდვილე... გწამდეს უმაღლესი მანიფესტი, გწამდეს ვიტე-ტურნოვოს ბრძნული პოლიტიკა, გწამდეს შენი თავის, შენი ოჯახის და მთელი რუსეთის ბედნიერება...

მაშ, გაუმარჯოს პიროვნების და ბინა-ოჯახის ხელ-უხლებლობლობას!...

მესამე დიდებული რეფორმა: „დუმა" სახელმწიფო სათათბირო, სახელმწიფო საბჭო... „დუმა" გარდიქცევა დამფუძნებელ კრებათ, „დუმა" მოახდენს ძირითად ცვლილებებს, „დუმა" მოსპობს ბიუროკრატიის მეუფებას და ალაგმავს ჯარსა და პოლიციას, „დუმა" გამოსცემს ახალ კანონებს, „დუმა" მისცემს გლეხს მიწას, მუშას ქარხანას, ერს ფართო ავტონომიას, ადამიანს კი თავისუფლებას, „დუმა" მოსპობს შიმშილს და გაჭირვებას, ცარცვას და გლეჯას, სიტლანქეს და უმეცრებას, სისხლსა და ცრემლებს; „დუმა" დაამყარებს ქვეყნად შვიდობას, წესიერებას, კანონს, სიმართლეს, ბედნიერებას და ნეტარებას: ეს საოცარი თილისმა, ეს ქვეყნის მუფარახი „დუმა" თვით ჯოჯოხეთსაც კი შესცვლის სამოთხეთ და ედემათ. და ყოველივე ამას პოლიციის და ჟანდარმების შემწეობით...

მაგრამ არ გაგიწყრეს ღმერთი, მკითხველო, არ გაბედო, არ აირჩიო და არ გაგზავნო „დუმაში" ის ვინც შენ გსურს! არა, იმას მაშინვე უკრავენ თავს სატუსაღოში, ან გაგზავნიან ცივ ქვეყნებში. შენი მოწონებული, შენი არჩეული კაცი უსათუოდ ულირსი და უვარგისი იქნება, შენ აარჩიე და გაგზავნე ისინი, ვისზედაც მიგითითოს პოლიციამ. გაგზავნე „დუმაში" ღვდლები ბერები, გაგზავნე მილიციის პრაპორჩიკები, გაგზავნე ლაპიანი ვაჭრები და ბებერი ღენერლები. აი, ესენია ვიტე-დურნოვოს თვალში ქვეყნის ერთგული და მოღვაწენი, ესენია ჭკვიანი და მეცნიერნი. ესენია მშრომელი და მომქმედნი, ესენია ნამდვილი „ბლაღონადიოჟნი" ხალხი, მხოლოთ ამათ შეუძლიათ ძირითად რეფორმების მოხდენა, სახელმწიფოს აყვავება, ხალხის გაბედნიერება.

მაშ, რაც შეიძლება მალე შეურგეთ თავი დუმაში ღვდლებსა და ბერებს, პრაპორჩიკებს და ბებერ ღენერლებს!..

გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

გაუმარჯოს ერის და ადამიანის თავისუფლებას!...

ასკილი.

უნდ მონტაგს-ცეიტუნგ“-ი და ეს ცრუ პარლამენტი იბოგინებს მანამდე, სანამ შეიძლებს პირბადით მოქმედებას. ეს დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ იქიდან, რაც ხდება ამჟამად რუსეთში ყოველივე კანონის წინააღმდეგ. კანონმა აღკრძალა ციმბირში დაკარგვა, მიუხედავათ ამისა ყოველ დღე იგზავნებიან ახალ-ახალი მსხვერპლნი. კანონმა აღკრძალა სხეულით დასჯა, მაგრამ მთელს რუსეთში კიდით კიდემდე ნავარდობს როზგი და მათრახი, სცემენ უწყალოთ ბრალიანსა და უბრალოს. კანონმა-მანიფესტმა უარყო' თვითმპყრობელობა, მაგრამ რუსეთის ყოველ კუთხიდან აუარებელი დეპეშები გვაცნობებენ, რომ უზარმაზარ რუსეთში მეფობს უსაზღვრო და საშინელი თვითნებობა. ნუ თუ შესაძლებელია ვირწმუნოთ ამის შემდეგ, რომ იმ პარლამენტარულ ფარსს, რომლის დადგმას აპირობენ ვიტე-დურნოვო, ექნება რაიმე მნიშვნელობა და გარდაქმნის რუსეთს კონსტიტუციონალურ სახელმწიფოთ?!.“

აი როგორი თვალით უცქერის ევროპის პროგრესიული ელემენტი რუსეთის მომავალ „დუმას“ და ვიტე-დურნოვოს პოლიტიკას! რუსის ხალხი გულცივად უცქერის არჩევნებს, განაპირა ქვეყნების მოწინავე პარტიები უცხადებენ ბოიკოტს ამ „დუმას.“

ჩვენ კი...ამ უმაგალითო დარბევა-აოხრების შემდეგ ჩვენი თავად-აზნაურები და ზომიერი პარტიები ეშურებიან მოახდინონ არჩევნები და გაგზავნონ დუმაში კაცები. ამათ რაღა უნდა გაუმტყუნოთ, როცა თვით სოციალ-დემოკრატთა ერთი ნაწილიც კი ამავე აზრისაა, სწევს ხალხში პროპაგანდას არჩევნებისათვის და ცდილობს გაგზავნოს „დუმაში“ თავისი წარმომადგენელი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ამ ჩემს წერილს დაუთმოთ ადგილი თქვენს პატივცემულს გაზეთში.

თქვენი გაზეთის მე 5-თე ნომერში იყო დაბეჭდილი ფრიად საყურადღებო წერილი ბ-ნ გუშიგისა **საერო ფონდის** შესახებ. აზრი ავტორისა საკმარისად დასაბუთებულია და განმარტებას არ მოითხოვს.

დროთა ვითარებამ ხმა ამოაღებინა ჩვენს ერსაც: დაიძახა გურიამ, მიჰყვა იმერეთი და სამეგრელო. მიჰყვა ქართლი და კახეთი, მისცა ბანი მთიულეთმა და ამგვარად მთელმა ქართველთა ერმა აცნობა ქვეყანას, რომ იგიც არსებობს და ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს მსოფლიო ისტორიაში. წამოდგა ეს მიძინებული, ოდესმე განთქმული თავის მამაცობით და მხნეობი ლომი და. აი, კიდეც შეუდგა საქმეს!

ხოლო დღევანდელი დრო მოითხოვს ამ ლომისთვის იმ საშუალებათა დამზადებას, რომლითაც უნდა იშრომოს მან თავისის და კაცობრიობის სასარგებლოთ. ეს საშუალებანი ბევრნაირი და ბევრფეროვანია, ხოლო ყველა იმათ აქვთ ერთი რამ საერთო: მათი შეძენა აუცილებლად მოითხოვს **ფულს.**

ამადაგვარად ფულის შეკრება და ფონდის დაარსება ჩვენი ერის ეროვნულ მოქმედებისათვის აუცილებელია და ისე საჩქაროა, რომ ერთი წუთითაც არ უნდა გადაიდოს მისი განხორციელება.

როგორ უნდა მოეწყოს ეს საქმე? რაგვარად უნდა დაარსდეს ეს საერო ანუ ნაციონალური ფონდი? ეს კითხვა ვრცელია და მოითხოვს ჩვენი საზოგადოების შეკრებას. ამდაგვარად ჩემის აზრით ჩვენ საჩქაროთ უნდა შევიკრიბნეთ და მოვილაპარაკოთ ამ საქმის თაობაზე.

ნაცინალური ფონდის დაარსება სასარგებლოა ყველა პარტიებისათვის, ამგვარად, თუ არა უგუნური, არც ერთი ქართველი, რომელ პარტიასაც უნდა ეკუთვნიდეს, არ' უნდა იყოს ამის წინააღმდეგი და ყველამ უნდა ხელი შეუწყოს ამ საქმეს.

მე იმდენად ვარ ამ საქმის განხორციელებაში დარწმუნებული, რომ ეხლავე საჯაროთ ვაცხადებ, რომ გადავწყვიტე ჩემის შემოსავლიდან ამ ფონდისათვის გადავდო 5% და დღეიდანვე ვიწოყბ ამ გადაწყვეტილების ასრულებას და ამასთანვე მივმართავ ყოველ ქართველს და ვთხოვ ყველამ, განურჩევლად იმისი მდიდარია იგი თუ ღარიბი, **სავალდებულოთ გახადოს და კიდეც შეასრულოს** ამ ფონდისათვის თავისი წვლილის შეტანა.

ნაფიცი ვექილი გ. გძელიშვილი.

## რუსეთი.

**კონსტ.-დემოკრატების კრება.** 28 თებერვალს მოსკოვში კონსტ.-დემოკრატების კრებაზე ლედნიცკის წაუკითხავს მოხსენება პოლონეთის ავტონომიის შესახებ. მოხსენებაში ის აზრია გატარებული, რომ ავტონომია პოლონეთის და რუსეთის შემაკავშირებელი ხიდი იქნება; სადაც ერთი ერი მეორეზე გაბატონებულია, იქ გულწრფელი კავშირი და ერთობა ყოვლად შეუძლებელია.

**ჩრდილოეთ გუბერნიების „დასახლება“.** პოლიციის დეპარტამენტში გაურჩევიათ 850 კაცის საქმე, რომელთაც ბრალდებათ მოსკოვის არეულობაში მონაწილეობის მიღება. უმრავლესობა ამათგანი „გადასახლებულ“ იქნება ჩრდილოეთ გუბერნიებში 2—5 წლამდე.

**შიმშილობა.** მოსკოვის ერთ საპატიმროში პოლიტიკურ პატიმრებს 41 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 6 შიმშილობა გამოუცხადებიათ. მიზეზი საქმის გარჩევის დაგვიანებაა.

**„აჯანყება“ გიმნაზიაში.** ტულიდან „რუსს“ ატყობინებენ, რომ იქაურ გიმნაზიის მოსწავლეთა შორის ძლიერი მღელვარებაა, ტალანში (კორიდორი) პეტარდა აუფეთქებიათ. მოსალოდნელია სერიოზული ამბები.

**განკარგულებაც ასეთი უნდა.** გენერალ სუხოტინს ქალაქ ომსკში მოუწვევია დაწესებულებათა და სამხედრო ნაწილების უფროსები და გადაუცია შემდეგი: „აუცილებლად საჭიროა რევოლიუციონერთა სრული განადგურება, რომ ამათთვის სამხედრო და სამოქალაქო სამჯავრომ თავი არ იმტვრიოსო“.—ამავე ქალაქის საქალებო გიმნაზიიდან ყველა მასწავლებლები დაუთხოვიათ და მათ ადგილას ჩაუყენებიათ ხუთი აფიცერი და სამი მღვდელი.—გაუმარჯოს პედაგოგიას!

**რუსეთის ისტორიიდან.** „რუსკოე დელოს“ რედაქტორს შარაპოვს გრაფ ვიტესთვის ექვსი ვერცხლის კოვზი გაუგზავნია და თან ასეთი წერილი გაუყოლებია: „გვაქვს პატივი, ამასთანავე მოგართვათ ხაზინის სასარგებლოდ ექვსი ვერცხლის კოვზი, შემოწირული ქალ. ვოზნესენსკში მცხოვრებ ქ-ნ ანნა სკორლიკინისაგან. უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ეს შემოწირულება მიემატოს ლითონის ძირითად თანხას, რათა გაძლიერებულ იქმნას ხაზინა და თავიდან ავიცილოთ დამამცირებელი საგარეო სესხები“.—დრონი იცვალენ! ძველად რუსეთს გაჭირვების დროს ნიქნინოვგოროდი ეხმარებოდა ოქრო-ვერცხლით, ახლა კი—ქ. ვოზნესენსკი და ბ. ბატონი შარაპოვი თავის ექვსი კოვზით!..

**პოლონეთის პარტიები.** პოლონეთის პროგრესიულ-დემოკრატიულ პარტიის ერთ ცნობილ მოღვაწისაგან გაზ. „სტრანას“ მიუღია შემდეგი ცნობები არჩევნებისა და პოლონეთის პოლიტიკურ პარტიათა შორის დამოკიდებულების შესახებ.—სოციალისტური პარტიები არ იღებენ არავითარ მონაწილეობას არჩევნებში, იმიტომ რომ შეუძლებლად მიაჩნიათ მუშაობა რუსეთის მომავალ დუმაში. ჩვენი პროგრესიულ-დემოკრატიული კავშირიც შეუძლებლად ცნობს გასწიოს აგიტაცია არჩევნების წინ დღევანდელ პირობებში, სანამ სამხედრო წესები მძვინვარებს. ნამდვილი ხალხის წარმომადგენელნი ან ციხეში ზიან, ან გახიზნულნი არიან. არჩევნების წინა კრებებს ახდენენ მხოლოდ „უგოდოვცები“—უკიდურესი მემარცხენენი, რომელთაც კანდიდატებიც წამოაყენეს. მაგრამ უნდა დაუმატოთ, რომ ადმინისტრაციის მიერ შეზღუდვილ-შეხუთვილმა ოპეკამ თვით კონსერვატორებშიაც კი გამოიწვია უკმაყოფილება.

**გაპონი ორ სკამზე.** კ. არსენიევმა, უარი განუცხადა იმ კომისიაში მონაწილეობის მიღებაზე, რომელშიაც იკვლევს გაპონის საქმეს. დანარჩენ წევრებმა არსენიევის მაგივრად მოიწვიეს სამი კაცი: ერთი „კავშირთა კავშირისაგან“ ერთი „პროფესიონალურ მუშათა ცენტრალურ ბიუროსაგან“ და ერთიც „სახალხო სოციალისტურ“ მიმართულებისა.

მემარცხენენი ბრალსა დებენ გაპონს მთავრობასთან დამოკიდებულებაში, მემარჯვენენი აბრალებენ სოციალისტურ იდეების გავრცელებას მუშებში.—ალბად მღვ. გაპონი მარჯვნივაც ატყუებდა და მარცხნივაც.

## დეპეშები

(პეტერბურგის ტელეგრაფისსაა გენტო).

9 მარტი.

**პეტერბურგი.** გაზეთებმა აღნიშნეს კიდეც, რომ მოკლე ხანში მთავრობა აპირებს დაადოს ქაღალდს გადასახადი „დუმის“ მოწვევამდე. ამის შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი პრინციპიალურად. ამ ჟამად სახელმწიფო გადასახადთა უმთავრესი გამგეობა კრებს მხოლოდ ცნობებს ქაღალდის ფაბრიკების და დამზადებულ მასალის რაოდენობის შესახებ, რაც შეეხება მდაბალისა და საშუალო ღირსების ქაღალდის გადასახადს იგი არ იქნება ერთ მანეთზედ მეტი. ყოველ შემთხვევაში ქაღალდის გადასახადს შემოიღებენ „დუმის“ მიერ განხილვის შემდეგ.

**პეტერბურგი.** შიპოვის თავმჯდომარეობით ამ დღეებში მოქმედებას დაიწყებს შემოსავლის კვალობაზე' გადასახადების შემომღები კომისია.

**ალჟესირასი.** კონფერენცია მალე დასრულდება, თუმცა გადადებაც შესაძლებელია. მაროკოს ბანკის თანხიდან სამი წილი საფრანგეთს მიეცემა. ნავთსადგურებში დაწესდება ფრანკო — ესპანიის პოლიცია.

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატის განაჩენი, რომლის ძალითაც „რუსის“ რედაქტორს სუვორინს ერთის წლით ციხეში ჯდომა მიესაჯა, სისრულეში იქმნა მოყვანილი.

10 მარტი.

**ადესა.** დააკავეს ანარქისტთა ჯგუფის „შავი ყორნის“ ბელადი, რომელიც აღმოჩდა იმერელი სტუდენტი გვარათ ჯიბუტი. გენერალ-გუბერნატორმა სამხედრო წესების დროს გასვლამდე აკრძალა „ნაშა ჟიზნის“ ცალკე ნომრებათ გაყიდვა.

**ალჟეზირასი.** დელეგატებმა გადაწყვიტეს, არ შეიკრიბონ დღეს სხდომაზედ. გერმანიის დელეგატი რადოვიცი ავათ გახდა.

**პეტერბურგი.** უმაღლესი რესკრიპტი საზღვაო მინისტრის სახელობაზე: სამხედრო ბეგრის შესამსუბუქებლად კეთილად ვცანით ნამდვილი სამსახურის ვადა დაბალ ჯარი კაცთათვის შემცირებულ იქმნას ხუთ წლამდე, ისე კი რომ ათ წლიანი საზოგადო სამსახური არ შეიცვალოს და ფლოტის სათადარიგო დაბალი ჯარის კაცნი ორ ხარისხად გაიყოს.

**ლონდონი.** პორტამ ბრიტანიის მთავრობას უარი შეუთვალა აიკაბის ბუხტიდან ოსმალეთის ჯარის გამოყვანაზე და ამტკიცებს რომ ეს ოსმალეთის ტერიტორიაა და არა ეგვიპტისაო. მოკლე დროში სმირნაში ინგლისი საზღვაო დემონსტრაცის მოახდენსო.

**რიგა.** რიგის ვაჭარმა ევგენი ბურხარდიმ, რომელმაც დაახლოვებით 150,000 მან. საქველმოქმედო ფული გაფლანგა და რომელიც გაიქცა სამზღვარ გარეთ, პოლიციამ ბრაუნშვეიგში შეიპყრო. ბურხარდმა თვიას მოკვლა განიზრახა, მაგრამ თავი მხოლოდ მძიმედ დაიჭრა.

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. ლ. ბახტაძე.

სტამბა ა. ვ. ქუთათელაძისა ფრეილინის ქუჩა, № 12.